საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4554/01
06/05/2021

4554-01-2-202105061733

შპს „დაგი+“-ს
მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. N192
ელ.ფოსტა: giga-paliani@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 7 აპრილის N6240 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. სორში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევი საწარმო მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორში, შპს „ცოტნეს“ (ს.კ. 437976460) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 88.10.27.016. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ცოტნე XXI”-ის (ს.კ. 237978514) საკუთრებას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს **ჩრდილოეთ-სამხრეთი** მხრიდან ესაზღვრება მთავარი მაგისტრალური გზა და შპს „ცოტნეს“ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს კორექტირებას.
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევი საწარმოდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. რიონი დაშორებულია 250 მეტრით. ელექტრონული მონაცემებისა და სკრინინგის განცხადებას დართული სიტუაციური რუკის გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან მდ. რიონი დაშორებულია დაახლოებით 65 მეტრით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი მდ. რიონამდე როგორც საპროექტო ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან, ისე უშუალოდ საწარმოს განთავსების წერტილიდან;

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოში დაგეგმილია წლიურად 30 000 $მ^3$ ნედლეულის - ქვიშა-ხრეშის გადამუშავებით 34 560 $მ^3$ ქვიშა-ღორღის წარმოება. აღნიშნული მონაცემები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს საპროექტო წარმადობაა 20 $მ^3$/სთ, დღეში - 100-120 $მ^3$ ქვიშა-ღორღი, ხოლო ტექნოლოგიური პროცესის ხანგრძლივობა შეადგენს დღე-ღამეში 8 საათს, წელიწადში 288 დღეს. წარმოდგენილი მონაცემების გადაანგარიშებით დგინდება, რომ დღეში 8 საათიანი ექსპლუატაციის პირობებში საწარმოს დღიური წარმადობა იქნება 160$მ^3$, რაც, 288 სამუშაო დღის გათვალისწინებით, წელიწადში 46080 $მ^3$-ს შეადგენს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები დაზუსტებას საჭიროებს.
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საწარმოში ნედლეულისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული მარშრუტის შესახებ;
- წარმოდგენილი განცხადების თანახმად, საწარმოს ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნადაა დაშორებული ტყის მასივისგან, თუმცა, ტერიტორიის გადამოწმებით დგინდება, რომ საპროეტრო ნაკვეთიდან დაახლოებით 200 მეტრში წარმოდგენილია ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ყოველწლიურად მოსალოდნელია 500 კგ ნარჩენი ზეთის წარმოქმნა, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ნედლეულით მომარგება ხორციელდება ლიცენზირებული ქვიშა-ხრეშის კარიერიდან (ლიცენზია N1003623), დოკუმენტს თან ერთვის შპს „დაგი+"-სა და შპს „ცოტნეს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, რომლითაც განსაზღვრულია ნედლეულის მიწოდების პირობები. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2019 წლის 31 დეკემბერს. გარდა ამისა, მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 11 მარტის N309/ს ბრძანებით გაუქმებულია ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შარდომეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „ცოტნეზე" გაცემული მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის მოპოვებაზე გაცემული N1003623 ლიცენზია. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ნედლეულით მომარაგების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე